პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 67 (5097)

1974 წ. 4 აპრილი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## „ფოლადის" სექციებში...

რუსთავის სპორტულ კლუბ „ფოლადში" დიდი პოპულარობით სარგებლობს ჭიდაობის ყველა სახეობა, მათ შორის, სამბო. ახალგაზრდები სისტემატურად ვარჯიშობენ სექციებში, გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით იმაღლებენ ოსტატობას და წარმატებითაც ასპარეზობენ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

• • •

სურათზე: „ფოლადის" სამბისტთა მორიგი მეცადინეობა.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.



ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

## მთავარი პრიზია ჯანმრთელობა

„აილე მიტ მაილე" — „იჩქარე, გაირბინე მილი". ასეთი მოწოდებით მიმართა გდრ-ის ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი ასაკისა და პროფესიისა, გდრ-ის სპორტულ ჟურნალისტთა კავშირმა. ყველამ, ვინც ამ „შეჯიბრებაში" მონაწილეობას მოისურვებს, უნდა გაირბინოს, ფეხით გაიაროს, გაცუროს, ველოსიპედით ან ნავით (უმოტორო ნავით, რა თქმა უნდა) დაფაროს 25 მილი 20 აპრილიდან 7 ოქტომბრამდე. გდრ-ის შექმნის 25 წლისთავის აღსანიშნავად გამოცხადდა „საიუბილეო მილი", რომლის მანძილიც სხვადასხვა სახეობაში სხვადასხვაა: რბენაში — 1974 მეტრი, სიარულში — 4 კილომეტრი, ველოსიპედით სიარულში — 8 კილომეტრი, ცურვაში — 400 მეტრი.

მონაწილემ, რომელიც „საიუბილეო მილს" გაივლის, გდრ-ის ნებისმიერ გაზეთს უნდა გაუგზავნოს ცნობა თავისი საცხოვრებელი ადგილის შესახებ და მსაჯების დასტური იმაზე, რომ კონკურსის პირობები მართლაც შესრულებული აქვს. ყოველი ეტაპის შემდეგ (სულ 25 ეტაპია) ეწყობა პრიზების გათამაშება ლატარიის პრინციპით.

„მილის" ყოველი მონაწილე მოგებული რჩება: თუ ლატარიაში არ გაუღიმებს ბედი, მთავარ „პრიზს" — ჯანმრთელობას ხომ მაინც ვერავინ წაართმევს.

ბერლინი.

## რეკორდები

ალმა-ათა, 2 აპრილი. ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზის გათამაშებაში მოასპარეზე გორკელმა მოციგურავემ ტ. ავერინამ კვლავ შესანიშნავ შედეგებს მიაღწია მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე. 1000 მ მან 1 წუთსა და 26,40 წამში დაფარა, რაც 0,9 წამით სჯობს ა. ჰენინგის (აშშ) მსოფლიო რეკორდს.

ავერინამ მრავალჭიდის ჯამშიც გადააჭარბა მსოფლიო რეკორდს. მისი შედეგია 180,091 ქულა.

## ჰოკეის უმაღლეს ლიგაში 10 გუნდია

საბჭოთა ჰოკეის უმაღლეს ლიგაში მომავალ სეზონში იასპარეზებს 10 გუნდი და არა 9, როგორც ბოლო წლებში იყო. ასე გადაწყვიტა სსრ კავშირის ჰოკეის ფედერაციის წინადადებით საკავშირო სპორტკომიტეტმა.

ქვეყნის ჩემპიონის წოდებისთვის იბრძოლებენ: „კრილია სოვეტოვი", ცსკა, „დინამო", „სპარტაკი" (ყველა — მოსკოვი), „ტორპედო" (გორკი), „დინამო" (რიგა), „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი), „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი), „კრისტალი" (სარატოვი). მეათე ადგილისთვის ორ გადასასვლელ მატჩში ერთმანეთს შეებრძოლებიან ბოლო ჩემპიონატის აუტსაიდერი — ლენინგრადის ასკ და პირველი ლიგის გუნდების შეჯიბრების მეორე პრიზიორი — სვერდლოვსკის „ავტომობილისტი". მათი პირველი შეხვედრა 5 აპრილს გაიმართება სვერდლოვსკში, ხოლო მეორე თამაშის დღე ლენინგრადში ჯერ დაუდგენელია.

უმაღლესი ლიგის გუნდები ჩემპიონატს უწინდებურად ოთხ წრედ ჩაატარებენ.

„ა" კლასის პირველი ლიგის გუნდების რიცხვი მომავალ გათამაშებაში 13 კი არ იქნება, არამედ 14.

სამაგიეროდ, „ა" კლასის მეორე ჯგუფში (დასავლეთი და აღმოსავლეთი ზონები) მონაწილე გუნდების რიცხვი მცირდება 28-დან 26-მდე. მეორე და მესამე „ეშელონების" გუნდების შეჯიბრებებიც ოთხ წრედ გაიმართება.

## ახალი ამბები-74

● კურიკა (ფინეთი), 1 აპრილი. 3×7,5 კილომეტრზე ესტაფეტაში მოასპარეზე საბჭოთა იუნიორმა ბიატლონისტებმა (მოსკოველი ს. ბელოლიპეცკი, ვილნიუსელი ი. გრუზდევი და ნოვოსიბირსკელი ს. კოლოდეზევი) ოქროს მედლები მოიხვეჭეს მსოფლიო ჩემპიონატში. გამარჯვებულთა დროა 1:33.14,36. ვერცხლის მედლები ფინელებს ხვდათ (1:34.48,70), ხოლო ბრინჯაოსი — ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს (1:37.09,41).

● მურმანსკი, 1 აპრილი. „ჩრდილოეთის დღესასწაულის" პროგრამით ჩატარდა მასობრივი მარათონული რბოლა 52 კილომეტრზე — შეჯიბრების სტარტზე 600 კაცი გამოვიდა ასპარეზობისადმი ინტერესი ერთობ დიდი იყო, ვინაიდან მარათონში მასპინძელთა გარდა სახელმოხვეჭილი უცხოელი მოთხილამურეებიც მონაწილეობდნენ. გაიმარჯვა ი. გარანინმა (სსრ კავშირი) — 2:41.27. II ადგილი დაიკავა ნორვეგიელმა ო. ბრომ — 2:41.53. III ადგილზეა ფ. სიმაშოვი (სსრ კავშირი) — 2:43.28. ცნობილი აღმოსავლეთგერმანელი სპორტსმენები გ.-დ. კლაუზე (2:44.00) და გ. ჰესლერი (2:46.38) IV და V ადგილებზე გავიდნენ.

## საკელი მოგვითხრობს



ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა. კრკონოშის მთიან მასივში საუცხოო პირობებია შექმნილი სამთოსათხილამურო სპორტის განვითარებისთვის. ეს დათოვლილი მიდამოები მშრომელთა დასვენების საუკეთესო ადგილია.

## ორი მთავარი ჯილდო

ამ ბოლო ხანს საბჭოთა სპორტული ფილმები მონაწილეობდა ორ დიდ საერთაშორისო კინოფესტივალში — კორტინა დ'ამპეცოსა და რეიმსში. საბჭოთა ხელოვანთა ნამუშევრებმა ორივეგან ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. კორტინა დ'ამპეცოში მთავარი პრიზი — „გრან პრი" საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ გერმანიის, იტალიისა და ინგლისის ფილმებთან ბრძოლაში მოიპოვა საბჭოთა ფილმების კრებულმა, რომელშიც შედიოდა „ტანვარჯიშის გაკვეთილი", „ო. კორბუტის სიხარული, წუხილი და ოცნება", „გზა და სიჩქარე", „ჰოკეის ნამდვილი ვაჟკაცები თამაშობენ", „კაცები და ქალები", „უნივერსიადა-73, მოგონებები", „ევროპის მხედრები".

საფრანგეთის ქალაქ რეიმსში მოწყობილ V საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომელშიც პირველად მონაწილეობდნენ სსრ კავშირის წარმომადგენლები, ნაჩვენები იყო 16 ქვეყნის, მათ შორის აშშ-ს, საფრანგეთის, ინგლისის, უნგრეთის, გდრ-ის, ბულგარეთისა და სხვა სახელმწიფოთა ფილმები, სულ — 88. რესპუბლიკის პრეზიდენტის პრიზი — „გრან პრი" დაიმსახურა რეჟისორ ვ. ხმელნიცკის მიერ „კიევნაუჩფილმში" გადაღებულმა კინოსურათმა „კაცები და ქალები".

## ლევან თედიაშვილმა ისევ წმინდად გაიმარჯვა

ჩატანუგა (ტენესის შტატი), 3 აპრილი. თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდავეებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მასპინძელი ქვეყნის ნაკრებთან კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართეს. ეს შეხვედრაც სტუმრებმა მოიგეს, ამჯერად ანგარიშით 8:2.

ყველაზე ხანმოკლე გამოდგა ორჯონიკიძელი მძიმეწონოსნის ს. ანდიევის შერკინება ჯ. ვუდსთან. საბჭოთა ათლეტმა მეტოქის დამარცხებას 3 წუთი და 14 წამი მოანდომა.

თბილისელმა ლ. თედიაშვილმა (მეორე საშუალო წონა) 3 წუთსა და 35 წამში ბეჭებზე დასცა ბ. ჰარლოუ. კრასნოიარსკელმა ი. იარიგინმა (ქვემძიმე) 5 წუთში სძლია ჯ. უინგეროფს.

აშკარა უპირატესობით გაიმარჯვეს: მინსკელმა ვ. სიულჟინმა (პირველი საშუალო) — გ. ჰიკსთან, ბაქოელმა ტ. ფაშაევმა (უმჩატესი) — ჰ. გელერთან, მახაჩყალელმა ზ. აბდულბეკოვმა (მსუბუქი) — ბ. უილეტსთან.

ქულებით გაიმარჯვეს: მოსკოველმა რ. დმიტრიევმა (მჩატე) — რ. ბატენთან, მახაჩყალელმა რ. აშურალიევმა (მეორე ქვესაშუალო) — ჯო კართან.

მახაჩყალელი ვ. იუმინი (ქვემსუბუქი) უგებდა ჯიმ კარს, მაგრამ დაშავდა და შერკინების დაბოლოება ველარ შეძლო. ტრავმის გამო ხალიჩაზე საერთოდ არ გამოსულა მახაჩყალელი ნ. ნასრულაევი.

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# დაბრუნება

რაც უფრო ახლოვდება საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ყველა მასშტაბის შეჯიბრებებს რესპუბლიკაში სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარების დონის დადგენისთვის. ახლახან მახარაძეში გაიმართა მესტენდურეთა რესპუბლიკური თასის გათამაშება. თუ ამ შეჯიბრებასაც სპარტაკიადის საზომით მივუდგებით, ცხადი გახდება, რომ საქართველოს ნაკრების დაკომპლექტების საქმეში ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს.

ამ პირად-გუნდურ ტერიტორიულ პირველობაში მხოლოდ 43 სპორტსმენი მონაწილეობდა. ყოველ გუნდს ეცხლის ხაზზე 4 ვაჟი და 2 ქალი უნდა გამოეყვანა. სამწუხაროდ, მსროლელი ქალები მხოლოდ თბილისის კოლექტივს ჰყავდა და ამიტომ გუნდურ შედეგებში საგრძნობი სხვაობაა.

ბრძოლაში თბილისის, აჭარის, ქუთაისისა და მახარაძის კოლექტივები მონაწილეობდნენ, აფხაზეთიდან მხოლოდ ერთი სპორტსმენი გამოვიდა (ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ სარბიელს დაუბრუნდა სოხუმელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი და ექს-რეკორდსმენი კ. დარასელია).

რაკი სიტყვამ მოიტანა, ვიტყვით, რომ აფხაზეთში მონკავშირის თავმჯდომარე გ. ნოდიას ხელმძღვანელობით ერთ დროს ძლიერი კოლექტივი ჰყავდათ. მისი ზრუნვით იქ რამდენიმე სპორტის ოსტატი აღიზარდა როგორც მრგვალ სტენდზე, ისე ადგილიდან სროლაში. სტენდიც სანაქებო ჰქონდათ. ნოდიას გარჯა დაუფასდა: მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების აღზრდისთვის საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. მაგრამ მერე სტენდი დაინგრა და სექციაც დაიხურა. მისი აღდგენისთვის აღარავინ იზრუნა და ახლა ერთ დროს ძლიერი კოლექტივიდან აღარაფერი დარჩა.

დასამალი როდია, აღარც იმას ფიქრობდა ვინმე, რომ დარასელია თავის საყვარელ სახეობაში წვრთნას გააგრძელებდა და შესანიშნავ სპორტულ ფორმას აღიდგენდა. მაგრამ მონდომებამ თავისი გაიტანა. დარასელია ამბობს, სოხუმში სასროლეთი რომ აღდგეს, სასტენდო სროლას იმდენი მოყვარული ჰყავს, სამ-ოთხ წელიწადში ისევ ძლიერი კოლექტივი ჩამოყალიბდებაო. ეს კი საქართველოს ნაკრებისთვისაც დიდი იმედი იქნებოდა.

რაც შეეხება თასის გათამაშებას, ადგილიდან სროლაში თავდაპირველად თბილისელი სპორტის ოსტატი ა. ბუკია დაწინაურდა. ორი დღის შერე იგი დარასელიას 6 ქულით უსწრებდა. ცხადია, დარასელიას შედეგზე გავლენა მოახდინა წვრთნის უქმარობამაც, მაგრამ სპორტსმენს დაკარგული ფორმის აღსადგენად ეს ორი დღეც ეყო. დარასელიამ ჯერ მდგომარეობა გამოასწორა, მერე დაწინაურდა კიდეც, 200 შესაძლებლიდან 180 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაიკავა. ბუკია მას 3 ქულით ჩამორჩა.

თბილისელმა სპორტის ოსტატმა ვ. ალავერდოვმა III ადგილისთვის ბრძოლაში დამატებით სერიაში სძლია თანაგუნდელ ი. კონდრატიევს (173-173 ქულა).

თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა კ. ციხისელმა ამ სახეობაში პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი.

მახარაძელი სპორტის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს მრგვალ სტენდზე საბჭოთა კავშირის საუკეთესო მსროლელების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, თბილისელი ტ. ჟღენტისა და მისი თანაგუნდელის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ თ. მატოიანის ბრძოლას.

ჟღენტი თავდაპირველად ჩამორჩა: მან 100-დან მხოლოდ 95 ქულა მოაგროვა, მატოიანმა კი — 98. შემდეგი 100 გასროლიდან ჟღენტს სამიზნისთვის ერთიც არ აუცდენია, მაგრამ დანაკარგის ანაზღაურება ველარ შეძლო. მატოიანმა ახლაც 98 ქულა დააგროვა და საბოლოოდ 200-დან 196 ქულით პირველობა დაისაკუთრა. ჟღენტი II ადგილს დასჯერდა — 195.

თბილისელმა ა. სეროვმა 189 ქულა მოაგროვა და III ადგილი დაიკავა. არმიელ მონადირეთა საზოგადოების სექციის აღზრდილმა სეროვმა, რომელსაც სპორტის ოსტატი ლ. სიმონიანი ავარჯიშებს, სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა.

თასი მოიპოვა თბილისის ნაკრებმა, რომელმაც 1200 შესაძლებლიდან 963 ქულა დააგროვა. II ადგილზე არიან აჭარის მესტენდურეები — 641 ქულა. III ადგილი ხვდა მახარაძის კოლექტივს — 630.

საქართველოს თასის გათამაშება მწყობრად ჩატარდა, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის მთავარ მსაჯთა კოლეგიას მთავარი მსაჯის, მახარაძის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის რ. ურუშაძის ხელმძღვანელობით.

ჯ. მოწონელიძე,
შეჯიბრების მთავარი მდივანი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მახარაძე.

* * *

სურათებზე: კ. დარასელია (ზევით) და თ. მატოიანი.

ო. გელაშვილის ფოტოები.





# ვინ არის ყველაზე ძლიერი საჭიდაო ხალიჩაზე?

ამას წლეულს შევიტყობთ. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ჩატარდეს შეჯიბრება ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად სხვადასხვა სახეობაში. თავისუფალი ჭიდაობის ოსტატები იასპარეზებენ 27-28 სექტემბერს კრასნოიარსკში, კლასიკური ჭიდაობის წარმომადგენლები — 7-8 დეკემბერს კაუნასში.

რამდენადაც ნათელია, რომ უძლიერესი მოჭიდავეები მძიმე წონითი კატეგორიების სპორტსმენები არიან, მომავალ ტურნირში დაიშვებიან მხოლოდ ის ათლეტები, რომელთა წონაც 95 კილოგრამს აღემატება.

წონის მიუხედავად ყველაზე ძლიერი მოჭიდავის გამოვლენის ცდები უწინაც ყოფილა. 1923 წელს, მაგალითად, უძლიერესის ტიტულისთვის იბრძოდა ორი მოჭიდავე — მძიმე წონის ს. ოსიპოვი და მსუბუქი წონის ი. კოკო. დანარჩენებმა უარი თქვეს ოსიპოვთან ბრძოლაზე. მაგრამ კოკო ძალიან მოქნილი აღმოჩნდა. მან ხალიჩაზე 40 წუთს გაძლო და, წესების თანახმად, გამარჯვებულად გამოაცხადეს. ამის შემდეგ წესების არასრულყოფილობის გამო შეჯიბრება გააუქმეს.

მაგრამ მსგავსი ტურნირის ჩატარების იდეა მაინც არ დაივიწყეს. 1939 წელს მოსკოვში ჩატარდა პირველი ოფიციალური ტურნირი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებაზე. შეჯიბრებაში 12 სპორტსმენი მონაწილეობდა.

— საასპარეზოდ დაუშვეს ის მოჭიდავეები, რომლებიც 80 კილოგრამზე მეტს იწონიდნენ, — გვიამბობს იმ შერკინებების ერთ-ერთი მონაწილე, ქვეყნის ჩემპიონი მძიმე წონაში ა. სენატოროვი. — ყველაზე „შთამბეჭდავი გარეგნობა“ ჰქონდათ ვ. იარკოვს (123 კგ) და ა. გონჟას (113 კგ), რომლებიც პოპულარული იყვნენ ცირკში გამოსვლებით. შეჯიბრება ტარდებოდა წრიული სისტემით — ყველა მონაწილე ხვდებოდა ერთმანეთს. გაიმარჯვა 22 წლის კ. კობერიძემ, რომელიც მეტოქეებზე ბევრად ნაკლებს იწონიდა. რასაკვირველია, ღირს იმის გახსენებაც, რომ 1947 წელს კობერიძე ევროპის ჩემპიონი გახდა ქვემძიმე წონაში.

შემდეგი შეჯიბრებები აბსოლუტური პირველობისთვის 1940, 1943, 1944 და 1945 წლებში მოეწყო. ყველა ამ ტურნირში გაიმარჯვა ესტონელმა მძიმეწონოსანმა ი. კოტკასმა. ამ შეხვედრებმა ხელი შეუწყო შესანიშნავი მძიმეწონოსნების მთელი თაობის გამოჩენას. კოტკასმა, მაგალითად, შემდგომ მოიგო ევროპის ჩემპიონატი და ჰელსინკის ოლიმპიური თამაშები. მისი მუდმივი მეტოქე ა. მაზური 1955 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამ შეხვედრების კიდევ ერთმა მონაწილემ არსენ მეკოკიშვილმა ყველას აჯობა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში და 1954 წლის მსოფლიო პირველობაში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის.

ეჭვი არ არის, რომ მომავალი შეჯიბრებაც ბევრ ახალ ნიჭიერ ათლეტს გაგვაცნობს. რა აზრისა არიან სახელოვანი საბჭოთა მოჭიდავეები?

— ბრწყინვალე იდეაა, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს სამი ოლიმპიადის ჩემპიონმა და შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში ა. მედვედმა. — ეს შეჯიბრება ახალგაზრდობას საშუალებას მისცემს უფრო ახლოს გაეცნოს ჭიდაობის სხვადასხვა სტილს, მის საუკეთესო წარმომადგენლებს. იქნებ ვინმემ ახალი ამპლუაც აირჩიოს. პირადად მე, მაგალითად, თავიდან გატაცებული ვიყავი კლასიკური ჭიდაობით, შემდეგ — სამბოთი, თავისუფალმა ჭიდაობამ უფრო გვიან გამიტაცა.

აი, რას ამბობს მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი და სამგზის მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ა. როშჩინი:

— ასეთი შეჯიბრებები უთუოდ გაამდიდრებს ტექნიკას მძიმეწონოსანი ათლეტებისას, რომლებიც წარმატებას ზოგჯერ მხოლოდ ძალის ხარჯზე აღწევენ. მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთ ტურნირებში საასპარეზოდ უნდა დავუშვათ ათლეტები 90 კილოგრამიდან და არა 95 კილოგრამიდან, როგორც ახლაა დაგეგმილი. სამი წონითი კატეგორიის სპორტსმენთა მონაწილეობა გაამწვავებს ბრძოლას და ჭიდაობას მიმზიდველობას შემატებს. საშუალო წონის მოჭიდავეები ხომ, როგორც წესი, ტექნიკის მხრივ ქვემძიმეწონოსნებზე წინ დგანან, ხოლო ჭიდაობის ტექნიკა დღეს ისე მაღალია, რომ 5-კილოგრამიანი სხვაობა ბევრს არაფერს ნიშნავს.

გამოცდილი ოსტატის წინადადება უდავოდ ყურადღებას იმსახურებს.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ყველაზე ძლიერი მოჭიდავეების საინტერესო ტურნირს ვნახავთ.

# გუშინწინ ერევანში

დაიწყო ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური. სარბიელზე გამოდის 12 კოლექტივი: ცსკა, მოსკოვის „დინამო“, ლენინგრადის „დინამო“, ლენინგრადის „ავტომობილისტი“, დნეპროპეტროვსკის „ავტომობილისტი“, ოდესის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გუნდი, კიევის „ლოკომოტივი“, ალმა-ათის „დოროჟნიკი“, რიგის „რადიოტექნიკი“, ვოროშილოვგრადის „ზვეზდა“, დონის როსტოვის ასკ, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდი.

ბოლო ტურის წინ დამაჯერებლად ლიდერობენ სსრ კავშირის 14-გზის ჩემპიონები, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელები — მოსკოველი არმიელები, რომელთაც ქულათა მაქსიმუმი (16) აქვთ. შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელს — რიგის „რადიოტექნიკს“ 14 ქულა დაუგროვდა. III ადგილზეა ლენინგრადის „ავტომობილისტი“ (12 ქულა), ხოლო IV — ალმა ათის „დოროჟნიკი“ (11).

დაძაბული პაექრობა მოსალოდნელია არა მარტო საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა შორის, არამედ სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილშიც. ბოლო ადგილზე დარჩენილი გუნდი უმაღლეს ლიგას დატოვებს, ხოლო გუნდი, რომელიც ბოლოსწინა ადგილზე გავა, გადასასვლელ მატჩს ჩაატარებს პირველ ჯგუფში II ადგილზე მყოფ გუნდთან.

ჩემპიონი 8 აპრილს უნდა გამოვლინდეს.

პირველ დღეს მატჩები ასე დამთავრდა: „ზვეზდა“ — „დინამო“ (ლენინგრადი) 3:0, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი — ტექნოლოგიის ინსტიტუტი 3:1, ასკ — „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) 1:3, „დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ 1:3, „ავტომობილისტი“ (დნეპროპეტროვსკი) — „რადიოტექნიკი“ 0:3, ცსკა — „დოროჟნიკი“ 3:2.

# ზეიმი სოფლად

სოფელ ზედა საზანოს (თერჯოლის რაიონი) საშუალო სკოლაში ამას წინათ სამხედრო სპორტული ზეიმი ჩატარდა. მას დაესწრნენ რაიონის ხელმძღვანელები, სოფლის თავკაცები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები.

ზეიმის პირველი განყოფილება საფეხბურთო მინდორზე მოეწყო. სპორტულ და სამხედრო ფორმებში გამოწყობილი მოსწავლეები დროშებითა და ლოზუნგებით შემოვიდნენ მოედანზე.

აღლუმის შემდეგ გაიმართა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ჭიდაობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთსა და სხვა სახეობებში. საინტერესო იყო სანიტრების შეჯიბრება პირველი დახმარების აღმოჩენაში.

მერე ზეიმი სკოლის კლუბში გაგრძელდა. შეკრებილებმა მოისმინეს სკოლის ორგანიზატორ დ. მაკარიძის მოხსენება „სამხედრო პატრიოტული აღზრდა და სპორტული მუშაობა“. შემდეგ თავიანთს საქმიანობაზე ილაპარაკეს მოსწავლეებმა. ბევრი მათგანი სკოლის დირექციამ (დირექტორი — საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ა. ჯაფარიძე) დააჯილდოვა მიღწეული წარმატებებისთვის. მოსწავლეთა დიდმა ჯგუფმა მიიღო დიპლომები, სიგელები და მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნები.

შეკრების მონაწილეებმა თერჯოლის რაიონის რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს გაუგზავნეს მიმართვა, რომლითაც ბევრი ვალდებულება იკისრეს ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად.

ზეიმის მომზადებასა და ჩატარებაში დიდი დამსახურება მიუძღვით მასწავლებლებს გ. ყიფშიძეს, ა. მარუაშვილს, ტ. გიორგაძეს, დ. მაკარიძეს და სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციას (მდივანი მ. ზარნაძე).

გ. გიორგაძე,
ზედა საზანოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე.

## ✦ ხაშური

დამთავრდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობები შაშსა და ჭადრაკში. შაშში ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა დ. ლომიძე (ფლევი), II ადგილზეა ა. დარსაველიძე (სატივე), III — ჯ. ნოზაძე (ფლევი). ქალთა შორის იმარჯვა მ. ტეფნაძემ (ფლევი), II ადგილზე გავიდა ი. გელაშვილი (ტკოცა), III — ლ. სანაკოევა (ხცისი). ჭადრაკში ყველას აჯობეს ბ. მანაშეროვმა და მ. კოჟიაშვილმა (ორივე — სურამი). ოსიაურელი ა. ზღუდაძე მესამე იყო.

ზ. მოსეშვილი.

## ✦ ყვარელი

მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მოჭადრაკეთა ტურნირში 13 საშუალო და 5 რვაწლიანი სკოლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ყვარლის მე-2 სკოლის გუნდმა. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ჭაბუკთა შორის — ო. ხატიაშვილი (ახალსოფლის 1-ლი საშუალო სკოლა), გოგონებს შორის — ო. იმერლიშვილი (შილდის მე-2 საშუალო სკოლა). ტყვიის მსროლელთა პირველობაშიც ყვარლის მე-2 სკოლის გუნდმა გაიმარჯვა. პირად ჩათვლაში ჭაბუკთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ამავე სკოლის მოსწავლე ა. შავგულიძე, გოგონებს შორის კი — ახალსოფლის მე-2 სკოლის მოსწავლე ე. ტივიშვილი. მაგიდის ჩოგბურთში პირველობა არავის დაუთმო ყვარლის რუსული სკოლის გუნდმა.

ი. იორამიშვილი.

# სპორტული აპრილი

გაზაფხულის მეორე თვე მდიდარი იქნება საერთაშორისო თუ საკავშირო შეჯიბრებებით. გაგაცნობთ უმთავრეს შეჯიბრებათა კალენდარს.

### აკრობატიკა

26-29. სსრ კავშირის თასი (ტაშკენტი).

### აფროსნობა

21-29. საკავშირო შეჯიბრება (სევასტოპოლი).

### ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა

20-21. საკავშირო შეჯიბრება (ხერსონი).

### ბატუტზე ხტომა

27-28. საკავშირო შეჯიბრება მფრინავ-კოსმონავტ გ. დობროვოლსკის ხსოვნის პრიზზე. ნახევარფინალი (ოდესა).

### ბიატლონი

7-9. საკავშირო შეჯიბრება (მურმანსკი).

### ველოსპორტი

4-5. საკავშირო შეჯიბრება გზატკეცილზე — ა. ჩერეპოვიჩის ხსოვნის პრიზი (სიმფეროპოლი).

9-21. საერთაშორისო შეჯიბრება გზატკეცილზე — „მაროკოს ტური" (მაროკო).

28-29. სსრ კავშირის ჩემპიონატი ტრეკზე. მეორე ტური (თბილისი).

### თავისუფალი ჭიდაობა

18-21. ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (დონეცკი).

19-21. საერთაშორისო შეჯიბრება დ. კოლოვის ხსოვნის პრიზზე (ბულგარეთი).

26-28. საერთაშორისო შეჯიბრება (თურქეთი).

### თანამედროვე ხუთჭიდი

20-24. საერთაშორისო შეჯიბრება (ერევანი).

28.IV-2 V. ევროპის თასი (გფრ).

### კალათბურთი

5-7. ქალთა საკავშირო პირველობა. „ა" კლასის პირველი ჯგუფი. III ტური (დნეპროპეტროვსკი).

10-17. ვაჟთა საკავშირო პირველობა. „ა" კლასის მეორე ჯგუფი. II ტური (ტალინი).

23-29. ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. მესამე წრის III ტური (ლენინგრადი).

### კლასიკური ჭიდაობა

11-14. ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (ბრესტი).

18-21. სსრ კავშირის ჩემპიონატი (რიგა).

### მაგიდის ჩოგბურთი

6-13. ევროპის ჩემპიონატი (იუგოსლავია).

### მშვილდოსნობა

26-28. საკავშირო შეჯიბრება (დნეპროპეტროვსკი).

### მძლეოსნობა

20-21. საკავშირო შეჯიბრება სპორტულ სიარულსა და მარათონულ რბენაში (უჟგოროდი).

21. გაზეთ „პრავდის" პრიზზე საკავშირო შეჯიბრების ფინალი (ფრუნზე).

### მხატვრული ტანვარჯიში

20-21. საერთაშორისო შეჯიბრება ლატვიის მხატვართა კავშირის პრიზზე (რიგა).

### სათხილამურო სპორტი

4. საკავშირო შეჯიბრება პატრულების რბოლაში (მურმანსკი).

4-7. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება რბოლებში (სიკტივკარი).

5-7. საერთაშორისო შეჯიბრება რბოლებსა და ტრამპლინიდან ხტომაში (გდრ).

7. სსრ კავშირის ჩემპიონატი 70 კმ-ზე რბოლაში (კანდალაკშა).

11-14. საკავშირო შეჯიბრება რბოლებში (მონჩეგორსკი).

13. ქალთა საკავშირო შეჯიბრება რბოლებში (აპატიტი).

13-14. საერთაშორისო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში (კიროვსკი).

### სამბო

17-23. საერთაშორისო შეჯიბრება (იაპონია).

18-21. იუნიორთა საკავშირო პირველობა (მაიკოპი).

### სამთოსათხილამურო სპორტი

10-14. საერთაშორისო შეჯიბრება „იალბუზის პრიზი" (ტერსკოლი).

### სამოტოციკლო სპორტი

7 და 21. მსოფლიოს პირადი ჩემპიონატი კროსში 250-ანების კლასში. (იტალია, ესპანეთი).

21. მსოფლიოს პირადი ჩემპიონატი კროსში 500-ანების კლასში (ავსტრია).

25-29. საერთაშორისო შეჯიბრება 250 და 500-ანების კლასებში (ოდესა).

### სასტენდო სროლა

18-21. სსრ კავშირის თასი (ლვოვი).

28-29. საერთაშორისო შეჯიბრება „მოსკოვის დიდი პრიზი" (მოსკოვი).

### საციგურაო სპორტი

11-14. სსრ კავშირის თასების გათამაშება ქალთა და ვაჟთა შორის (მედეო).

### ტანვარჯიში

4-6. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ღია ჩემპიონატი (ლენინგრადი).

6. საერთაშორისო შეჯიბრება (ინგლისი).

29.IV-1.V. 1 მაისისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება (იტალია).

### ტყვიის სროლა

17-25. საკავშირო შეჯიბრება (ლვოვი).

### ფარიკაობა

5-7. საერთაშორისო შეჯიბრება (გდრ).

12-15. იუნიორთა მსოფლიო პირველობა (თურქეთი).

18-21. ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება „ბელორუსიის თასი" (მინსკი).

18-21. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი დაშნაში (უნგრეთი).

19-21. ქალთა საკავშირო შეჯიბრება (მინსკი).

### ფეხბურთი

7. უეფა-ს ჭაბუკთა ტურნირი. პოლონეთი — სსრ კავშირი (პოლონეთი).

9-16. ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი (საფრანგეთი).

10. ევროპის იუნიორთა პირველობის შესარჩევი მატჩი: სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია (ერევანი).

17. მატჩი იუგოსლავია — სსრ კავშირი (იუგოსლავია).

17. ევროპის იუნიორთა პირველობის შესარჩევი მატჩი: ჩეხოსლოვაკია— სსრ კავშირი (ჩეხოსლოვაკია).

### ფიგურული ციგურაობა

12-14. საერთაშორისო შეჯიბრება „ქარვის ციგურები" (რიგა).

18-21. საერთაშორისო შეჯიბრება (იჟევსკი).

### ფრენბურთი

4-8. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. IV ტური. (ერევანი).

6-12. ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. IV ტური (მოსკოვი).

9-14. ქალთა საკავშირო პირველობა. „ა" კლასის პირველი ჯგუფი. IV ტური (რიბინსკი).

16-21. ვაჟთა საკავშირო პირველობა. „ა" კლასის პირველი ჯგუფი. IV ტური (ტალინი, ხარკოვი).

### ჩოგბურთი

5-14. საკავშირო შეჯიბრება (ტაშკენტი).

### ცურვა

5-7. სსრ კავშირ—გდრ-ის მატჩი (მინსკი).

12-14. გდრ—სსრ კავშირის მატჩი ჭაბუკთა შორის (გდრ).

13-14. უნგრეთ—რსფსრ-ს მატჩი (უნგრეთი).

### ძალოსნობა

6. საერთაშორისო შეჯიბრება (საფრანგეთი).

24-28. სსრ კავშირის ჩემპიონატი (თბილისი).

### ძიუდო

13-14. იუნიორთა საკავშირო პირველობა (ჩელიაბინსკი).

19-21. საერთაშორისო შეჯიბრება (ლვოვი).

### წყალბურთი

4-7. სსრ კავშირის პირველობა. პირველი ჯგუფი. პირველი წრის I ტური (ტაშკენტი, ხარკოვი).

23-28. სსრ კავშირის პირველობა. პირველი ჯგუფი. II ტური (მინსკი).

### წყალში ხტომა

20-21. საერთაშორისო შეჯიბრება (აშშ).

### ჭადრაკი

10. ბ. სპასკი—ა. კარპოვის ნახევარფინალური მატჩის დასაწყისი (ლენინგრადი).

10-29. საერთაშორისო შეჯიბრება (იუგოსლავია).

12. ტ. პეტროსიან—ვ. კორჩნოის ნახევარფინალური მატჩის დასაწყისი (ოდესა).

14.IV-5.V. საერთაშორისო შეჯიბრება (ესპანეთი).

18-23. სსრ კავშირის თასის ზონალური შეჯიბრებები (ვილნიუსი, დუშანბე, თბილისი).

### ხელბურთი

6. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური შეჯიბრება ქალთა გუნდებს შორის. მონაწილეობს კიევის „სპარტაკი" (პოლონეთი).

17-21. ქალთა საკავშირო პირველობა. პირველი ჯგუფის II ტური (თბილისი).

20-28. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. მეორე წრე (გლაზოვი).

21. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური შეჯიბრება ვაჟთა გუნდებს შორის. მონაწილეობს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივი (გფრ).

23-28. ვაჟთა საკავშირო პირველობა. პირველი ჯგუფის III ტური (ბაქო ან დონის როსტოვი).

### ჰოკეი

5-20. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატი (ფინეთი).

10-22. იუნიორთა საკავშირო პირველობა (მოსკოვი).

## რინგის პრიზიორები

იჟევსკი. 23-31 მარტი. „იჟსტალის" სპორტის სასახლე. მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატი. მონაწილეობდა 209 სპორტსმენი.



პირველი უმჩატესი წონა. 1. ე. იუდინი (კუიბიშევი), 2. ს. დურიანი (ერევანი), 3. გ. მულაევი (ტაშკენტი) და ვ. პლაკუშჩი (კოკჩეტავი).

მეორე უმჩატესი. 1. ვ. ზასიპკო (დონეცკი), 2. ბ. საპეევი (ყარაგანდა), 3. ნ. ლოდინი (დაუგავპილსი) და ა. სემიონოვი (სარატოვი).

მჩატე. 1. ა. ავდეევი (მოსკოვი), 2. ე. დუბოვსკი (მინსკი), 3. ბ. ზორიკტუევი (მოსკოვი) და დ. ტოროსიანი (ერევანი).

ქვემსუბუქი. 1. ბ. კუზნეცოვი (ასტრახანი), 2. ვ. სოკოლოვი (ჩებოქსარი), 3. ვ. რადკევიჩი (მინსკი) და ა. ავეტისიანი (ერევანი).

მსუბუქი. 1. ვ. სოლომინი (პერმი), 2. ვ. ხარჩენკო (ჟდანოვი), 3. ა. ნიკიტენკო (ლვოვი) და ვ. ლვოვი (ჩებოქსარი).

პირველი ქვესაშუალო. 1. ა. ტოროპოვი (ყარაგანდა), 2. ი. ტხოროვსკი (ლვოვი), 3. ვ. პისკოვოი (დონეცკი) და ა. კადირ-ახუნოვი (ტაშკენტი).

მეორე ქვესაშუალო. 1. ა. ბერეზნიუკი (ბობრუისკი), 2. კ. ქსიფოსი (ადლერი), 3. ვ. კისელიუსი (ვილნიუსი) და ლ. ტლეუბაევი (ყარაგანდა).

პირველი საშუალო. 1. ლ. შაპოშნიკოვი (ლვოვი), 2. ვ. კურინკო (ტაშკენტი), 3. ი. გოროდილოვი (ვლადივოსტოკი) და ო. ტოლკოვი (კიევი).

მეორე საშუალო. 1. რ. რისკიევი (ტაშკენტი), 2. ა. კლიმანოვი (ჟდანოვი), 3. ა. კურიკოვი (პეტროზავოდსკი) და გ. ტოლმაჩოვი (ნარვა).

ქვემძიმე. 1. ვ. ლემეშევი, 2. ი. ბისტროვი (ორივე — მოსკოვი), 3. გ. ოჩულინი (გორკი) და ვ. სოკოლოვი (მინსკი).

მძიმე. 1. ე. გორსტკოვი (ორსკი), 2. გ. კუკურინი (კიშინიოვი), 3. ვ. ულიანიჩი (დონის როსტოვი) და ი. ვისოცკი (მაგადანი).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: 1974 წლის სსრ კავშირის ჩემპიონი რ. რისკიევი უტევს ა. კლიმანოვს (მარცხნივ).

ი. მორგულისის ფოტო. („ტრუდი").

## ოქროს „ფეხბურთის ციებ-ცხელება"

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ორგანიზატორები, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი სავაჭრო და საწარმოო ფირმები და თვით ჩემპიონატის ბევრი მონაწილე ამ შეჯიბრებას განიხილავენ, როგორც... ბიზნესს. და თუმცა ჩემპიონატის ორგანიზაციისთვის, წინასწარი გაანგარიშებით, დაახლოებით 40 მილიონი მარკა დაიხარჯება, იმედოვნებენ, რომ შემოსავალი ორჯერ გადაფარავს დანახარჯს.

„ფეხბურთის ციებ-ცხელებამ" მოიცვა 200-ზე მეტი დასავლეთგერმანული ფირმა, რომლებიც თავიანთი საქონელბრუნვის გაზრდას ჩემპიონატის ემბლემიანი საქონლისა და სუვენირების ხარჯზე აპირებენ.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება გფრ-ის ნაკრების ვარსკვლავებზე, რომლებიც ვაჭრობის გამოსაცოცხლებლად სჭირდებათ.

როგორც გაზეთი „ველტ ამ ზონტაგი" წერს, დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელებისთვის 1974 წელი შესაძლოა მართლაც „ოქროსი" გახდეს, თუნდაც მათ ვერ მოიპოვონ მსოფლიოს თასი. მაგალითად, ბეკენბაუერმა ერთობ სარფიანი გარიგება განახორციელა ფირმებთან „არალთან" და „ტელერენტთან". ფირმებს ამ ხელშეკრულებების თანახმად უფლება ეძლევათ გამოიყენონ რეკლამის მიზნით ბეკენბაუერის პორტრეტები და აზრები. ნეცერი „იყიდა" „ფილიპსმა", მიულერი — ფირმებმა „ხარიბომ", „დორმა" და „მარსმა".

გფრ-ის ნაკრების სხვა ფეხბურთელებსაც სურთ არ ჩამორჩნენ კოლეგებს და არ დაკარგონ დამატებითი შემოსავლის მიღების შანსი.

ბონი. (საკდესის კორ.).

## ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. სვეტილკო დაინიშნა ძალოსნობისა და ფარიკაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის დირექტორად.

WM 74

## ფინალისტთა საქმეები

● სტოკჰოლმში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც შვეციის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ერიქსონმა ჟურნალისტებს უამბო იტალიაში ამას წინათ მოწყობილ ორკვირიან შეკრებაზე.

მწვრთნელი განსაკუთრებით უკმაყოფილოა თავდასხმის ხაზით, სადაც გამოირჩევა ერთადერთი ფორვარდი, 32 წლის პალსონი.

— ეტყობა საქმე ისეა, რომ აუცილებლად დაგვჭირდება უცხოეთის კლუბებში მოთამაშე შვედების მოწვევა, — თქვა ერიქსონმა. — უმათოდ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ვერაფერს გავხდებით.

● ცნობილი ჰოლანდიელი ცენტრალური თავდამსხმელი ი. კრუიფი საუკეთესო ფორმაშია და ბრწყინვალედ თამაშობს ესპანეთის „ბარსელონაში". ეს ჰოლანდიელ გულშემატკივართა შეშფოთებას იწვევს, ვინაიდან დადის ხმები, თითქოს „ბარსელონის" ხელმძღვანელობას აღარ სურს გაუშვას კრუიფი ჰოლანდიელთა საწვრთნელ მატჩებზე.

ამ ამბავთან დაკავშირებით ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი ფ. ფადრონცი ესპანეთში იყო და სრული გარანტია მიიღო, რომ კრუიფს „ბარსელონიდან" გაუშვებენ არა მარტო მსოფლიო ჩემპიონატის პერიოდში, არამედ ყველა ამხანაგურ შეხვედრაზეც.

● — მიუნჰენის ფინალის უდავო ფავორიტები არიან გფრ-ის, ჰოლანდიისა და გდრ-ის ფეხბურთელები, — ასე მიაჩნია ცნობილ ბელგიელ თავდამსხმელს პ. ვან ჰიმსტს. ამას გარდა, მისი შეხედულებით, ბრაზილიელებს და სამხრეთ ამერიკის სხვა წარმომადგენლებს ევროპის სტადიონებზე წარმატების იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

● ჰოლანდიის ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში ამ ქვეყნის ნაკრებმა სერიოზული დანაკლისი განიცადა: მძიმე ტრავმის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა „ჰაგასა" და ნაკრების საუკეთესო მცველი მანსფელდი. მას ამ დღეებში გაუკეთებენ ოპერაციას. ექიმების აზრით, მანსფელდი 1974 წელს საერთოდ ვერ ითამაშებს.

ფინეთში შაიბიანი ჰოკეის ოსტატთა მორიგი მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც 5-20 აპრილს ჩატარდება, ახალი საფოსტო მარკა გამოუშვეს.




საკდესის ფოტოქრონიკა.

ფეხბურთი

# ✓ ნახევარფინალების წინ

დასასრულს უახლოვდება ევროპის საკლუბო გუნდების ტურნირები. როგორც ცნობილია, 10 და 24 აპრილს გაიმართება ნახევარფინალური შეხვედრები. ეს მატჩები დიდ ინტერესს იწვევს, ვინაიდან ტურნირებს მეტად ძლიერი კლუბები შემორჩნენ.

## ჩემპიონთა თასი

აქ კენჭისყრა „ნორმალური" შედეგით დასრულდა, ესე იგი ძირითადი ფავორიტები ასცდნენ ერთმანეთს, ასეთებად კი მიმომხილველებს მიაჩნიათ „სელტიკი" (გლაზგო) და „ბაიერნი" (მიუნჰენი).

მაშ ასე: „სელტიკი" — „ატლეტიკო" (მადრიდი) და „უიპეშტ დოჟა" (ბუდაპეშტი) — „ბაიერნი".

გავეცნოთ გუნდების საორიენტაციო შემადგენლობებს:

„სელტიკი" — კამაკამი, ბროგანი, მაკნეილი, კონელი, ჰეი, ჰუდი, დალგლიში, მიური, ჯონსტონი, დინსი, კალაგანი.

„ატლეტიკო" — რეინა, მელო, ერედია, კაპონი, ადელარდო, ეუსებიო, სალსედო, უფარტე, ლუისი, ირუკეტა, ბესერა.

„უიპეშტ დოჟა" — სენტმიჰაი, კოლარი, ჰარშანი, ჰორვატი, ნოსკო, დუნაი, ტოტი, ფეკეტე, ბენე, ფაზეკაში, ზამბო.

„ბაიერნი" — მაიერი, ჰანსენი, ბრაიტნერი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, როტი, ტორსტენსენი, იენსენი, მიულერი, ჰიონესი, ჰოფმანი.

## თასების მფლობელთა თასი

ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, აქ გაიმართება „ფინალი ნახევარფინალში", ვინაიდან ერთმანეთს ხვდებიან „მილანი" და „ბორუსია" (მენჰენგლადბახი). მეორე წყვილი გახლავთ ლისაბონის „სპორტინგი" და „მაგდებურგი".

გუნდების საორიენტაციო შემადგენლობები ასეთია:

„სპორტინგი" — დამასი, ჟოზე კარლოსი, ალინიო, ბასტოსი, კარლოს პერეირა, ვაგნერი, ჩიკო, ბალთაზარი, მარინიო, იაზალდე, დიმისი.

„მაგდებურგი" — შულცე, ცაპფი, ენგე, სეგუინი, დეკერი, შპარვასერი, პომერანკე, ტილი, ჰერმანი, მევესი, ჰოფმანი.

„მილანი" — ვეკი, ანკილეტი, შნელინგერი, საბადინი, სინიოლი, მალდერა, ბერგამასკი, ბიასიოლო, ბიგონი, რივერა, კიარუჯი.

„ბორუსია" — კლეფი, ფოგტსი, ბონჰოფი, ზილოფი, კლინკჰამერი, შტილიკე, ვიმერი, დანერი, რუპი, კიოპელი, ჰაინკესი.

## უეფა-ს თასი

გათამაშების ძირითადი ფავორიტები — როტერდამის „ფეიენოორდი" და ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური" აქაც ასცდნენ ერთმანეთს: ნახევარფინალის წყვილებია „ფეიენოორდი" — „შტუტგარტი" და „ლოკომოტივი" (ლაიპციგი) — „ტოტენჰემ ჰოტსპური".

გუნდების საორიენტაციო შემადგენლობები:

„ფეიენოორდი" — ტრეიტელი, რიისბერგერი, ვან დეილი, რამლიაკი, ვოსი, იანსენი, დე იონგი, ვან ჰანეგემი, რესელი, შოენმაკერი, კრისტენსენი.

„შტუტგარტი" — ჰაინცე, ვაიდმანი, კოორდესი, მარტინი, ენტენმანი, ცეხი, შტიკელი, ჰანდშუ, ოლიხერი, ეტმაიერი, ბრენინგერი.

„ლოკომოტივი" — ფრიჩე, გისნერი, სეკორა, გრებნერი, ჰამერი, ალტმანი, ფრენცელი, ლიზიევიცი, ფრიჩე, მატოული, ლიოვე.

„ტოტენჰემ ჰოტსპური" — ჯენინგსი, ევანსი, ინგლენდი, ბილი, ნეილორი, პრატი, მაკგრათი, პერიმენი, პიტერსი, ჩივერსი, კოუტსი.

(საქ. ინფ.).

# გაფიცულები სარბიელს დაუბრუნდნენ

ამ ათიოდე დღის წინათ საფრანგეთის ჩემპიონი კალათბურთში ას „ბერკი" გამოეთიშა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებას. „ბერკი" ორ ჯერ დამარცხდა ნახევარფინალში ესპანეთის პოპულარულ კლუბთან — მადრიდის „რეალთან". გასაკვირი თითქოს არაფერია: „რეალი" რამდენიმეჯერ იყო საპატიო პრიზის მფლობელი და მუდამ ამ ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება. მაგრამ საფრანგეთის ჩემპიონის წარუმატებლობამ ევროპის საკალათბურთო წრეებში მაინც გაკვირვება გამოიწვია.

რატომ? საქმე ისაა, რომ „ბერკი" ამ ბოლო დროს საგრძნობლად გაძლიერდა რამდენიმე უცხოელი კალათბურთელით. გუნდმა წარმატებით განვლო წინასწარი მატჩების სერია და მეოთხედფინალური ტურნირი, მოიპოვა ნახევარფინალში თამაშის უფლება, მერე კი... მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ: კლუბის ადმინისტრაციასთან დიდი დავის შემდეგ „ბერკის" ექვსმა უძლიერესმა წევრმა უარი თქვა თამაშზე. ეს თავისებური გაფიცვა დაემთხვა „რეალთან" ნახევარფინალური მატჩების პერიოდს და კლუბიც გამოეთიშა ასპარეზობას.

საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციისთვის ეს მძიმე დარტყმა იყო და მანაც მკაცრი განაჩენი გამოიტანა, მაგრამ გაფიცულ კალათბურთელებზე უარი მთლიანად ვერ თქვა. ფედერაციის გადაწყვეტილება ასეთი იყო: ექვსივე კალათბურთელს დისკვალიფიკაცია მიეცა ერთი წლით, ოღონდ... პირობით. ინციდენტის გამეორების შემთხვევაში მათ აეკრძალებათ თამაში საფრანგეთის ეროვნულ ჩემპიონატში და მოუხდებათ დიდი ფულადი ჯარიმის გადახდა.

გაფიცულები დაუბრუნდნენ თავიანთ კლუბს და პირველივე მატჩი ეროვნულ ჩემპიონატში დიდი ალმაულობით ჩაატარეს: დაამარცხეს „ვიშის" კლუბი სარეკორდო ანგარიშით — 103:75.

# მძლეოსნობის ამბები

## ახალი სტილით

შვედმა ჭოკით მხტომელმა ლაგერკვისტმა განიზრახა სიგრძეზე ხტომაში ახალი სტილი შექმნას. დაუღალავ ვარჯიშს ამაოდ არ ჩაუვლია: ლაგერკვისტმა რამდენიმეჯერ წარმატებით შეასრულა მალაყით ხტომა.

მალე მას დასავლეთგერმანელმა მძლეოსანმა შტირლმა მიბაძა. მოწაფე უფრო ნიჭიერი გამოდგა. შტირლმა ამას წინათ ბიობლინგენში გამართულ ოფიციალურ შეჯიბრებაში მეოთხე ცდაზე 737 სმ აჩვენა, ხოლო მეექვსეზე — 742 სმ.

შტირლის აზრით, მალაყით სიგრძეზე ხტომამ ამ სახეობაში გადატრიალება უნდა მოახდინოს.

## პოლონური ჟურნალის აზრით

პოლონურმა ჟურნალმა „ლეკა ატლეტიკამ" შარშანდელი შედეგების მიხედვით მოახდინა ქვეყნების მძლეოსანთა გუნდების კლასიფიკაცია. კლასიფიკაციის დროს მხედველობაში ღებულობდნენ სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა შედეგებს ევროპის ტურნირებში. I ადგილზე გასული სპორტსმენი გუნდს 20 ქულას აძლევდა, მეორე პრიზიორი — 19 ქულას და ა. შ.

ამ სისტემის შესაბამისად, ქალთა გუნდები ასე განლაგდნენ: გდრ — 897,5 ქულა, სსრ კავშირი — 544,5, ბულგარეთი — 277,5, პოლონეთი — 223, ფინეთი — 148,5, გფრ—143,5, დიდი ბრიტანეთი — 143, რუმინეთი — 141,9, უნგრეთი — 128, იუგოსლავია — 80,5, იტალია — 70, შვეცია — 67, ავსტრია — 63, საფრანგეთი — 60, ჩეხოსლოვაკია — 52,5, შვეიცარია — 32, ჰოლანდია — 20,5, ირლანდია და ნორვეგია — 12,5-12,5, ბელგია — 9, ესპანეთი — 4, დანია — 1,5.

ვაჟები. სსრ კავშირი — 859,5, გდრ — 616, ფინეთი — 393,5, გფრ — 365, პოლონეთი — 354, დიდი ბრიტანეთი — 326, საფრანგეთი — 253,5, ჩეხოსლოვაკია — 234,5, შვეცია — 201,5, იტალია — 161, ბელგია — 101, რუმინეთი — 96, უნგრეთი — 86,5, ნორვეგია — 85,5, საბერძნეთი — 80,5, იუგოსლავია — 66, შვეიცარია — 47,5, ესპანეთი — 43,5, ჰოლანდია — 21,5, ბულგარეთი — 21,5, დანია — 21, ავსტრია— 17, ირლანდია — 1.

ჟურნალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შარშან ქალებმა კონტინენტის ცხრა რეკორდი დაამყარეს და რეკორდსმენები სამი ქვეყნის წარმომადგენლები არიან: 6 რეკორდი გდრ-ის ათლეტებს ეკუთვნით, 2 — სსრ კავშირის წარმომადგენლებს, ხოლო ერთი — ბულგარეთის სპორტსმენს.

# ბელგიელთა მძლეველი

გასულ კვირას ჩატარდა დასავლეთ ევროპის ველოსიპედისტთა პოპულარული შეჯიბრება „ფლანდრიის ტური". ეს საინტერესო ასპარეზობა მოიგო ჰოლანდიელმა კ. ბოლმა.

შეჯიბრების შემდეგ საგზატკეცილო ველოსპორტის ერთ-ერთმა ვეტერანმა, ფრანგმა რ. პულიდორმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „ბელგიელებს არ უყვართ, როცა რაიმე შეჯიბრებას იგებენ, მაგრამ ისინი ამავე დროს სასტიკი წინააღმდეგი არიან იოლი ტრასებისა. რთული პროფილი მათი მთავარი კოზირია. აქ ისინი თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. „ფლანდრიის ტური" კი ტრადიციულად „ადვილი" პროფილით გამოირჩევა და ამიტომაც გაუჭირდათ..."

ძირითადი ბრძოლა ამ საინტერესო შეჯიბრებაში ფინიშამდე 7 კილომეტრით ადრე გაჩაღდა, როცა ერთ-ერთ დაწინაურებულ ფრანგ ველოსიპედისტს მონაწილეთა 35-კაციანი ჯგუფი წამოეწია.

ბოლო კილომეტრებზე თავი გამოიჩინა ბოლმა, რომელიც ოსტატურად გაუსხლტა ბელგიელთა ძლიერ დუეტს. ვერაფერი გააწყო ფინიშზე ვერც ე. მერქსმა, რომელიც საბოლოოდ IV ადგილზე დარჩა. II და III ადგილები კი შესაბამისად დაისაკუთრეს ე. ლემანმა და ვ. ბოტფორდმა.

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული კვირა

**თანამედროვე ხუთჭიდი.** საქართველოს თასის გათამაშება. ცხენოსნობა (იპოდრომი). დასაწყისი: **დღეს** — 16 ს., **5 აპრილს** — 11 ს. **6 აპრილი. სროლა** („დინამოს" ტირი). 10 ს. **ცურვა** (საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის აუზი). 20 ს. **7 აპრილი. მძლეოსნური კროსი** (გამარჯვების პარკი). 11 ს.

**კარტინგი. 7 აპრილი.** თბილისის ზღვის მიდამოები (ხუდადოვის ქუჩის დასასრული). **თბილისის თასის გათამაშება.** მონაწილეობენ საქართველოს, ბაქოს, ერევნის, დონის როსტოვის, ნალჩიკის, გროზნოსა და კრასნოდარის მრბოლელები. დასაწყისი 12 ს.

# ბალერინების ახალი გატაცება

ლონდონის ერთ-ერთი გუნდის „ორიენტის" საფეხბურთო მინდორს სამეფო საბალეტო საზოგადოების ოთხი მოცეკვავე ქალი ეწვია. საბალეტო ფეხსაცმლის ნაცვლად მათ ამჯერად ბუცები ჩაიცვეს და უჩვეულო გამოსვლისთვის მოემზადნენ. ბალერინების პარტნიორები იყვნენ „ორიენტის" მოთამაშეები, გუნდის კაპიტანი პიტერ ბენეტი და ჯერი ქუინი. მოცეკვავე ქალები მოიხიბლნენ ფეხბურთით და გადაწყვიტეს შეადგინონ ფეხბურთელთა გუნდი სამეფო ბალეტის დასის წევრებისგან.



ოკეანის გადაღმიდან



# დედა-შვილი ფეხბურთელთა გუნდში

ზაგრებში გაიმართა ადგილობრივი „ლოტომერკურისა" და ლაიბნიცის „აიზენ-კადეს" ფეხბურთელ ქალთა გუნდების შეხვედრა. ავსტრიის გუნდში თამაშობდა ორი მიტერგერი: 47 წლის ელფრიდა და მისი 16 წლის ქალიშვილი ელიზაბეტი. ერთ სურათზე თქვენ ხედავთ ფეხბურთელ დედას თამაშის დროს, ხოლო მეორე სურათზე აღბეჭდილია მომენტი, როცა კმაყოფილი ელფრიდა და ელიზაბეტი მინდორს ტოვებენ შეხვედრის შემდეგ.



მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

## რამსეის გეგმები ✓

ინგლისელი ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების დიდი ნაწილის აშკარა უკმაყოფილების მიუხედავად, ა. რამსეი ნაკრების სათავეში რჩება. მას დიდი გეგმები აქვს და გუნდის კარგად მომზადების მიზნით ბევრ მატჩს ჩაატარებს. 18 მაისს ინგლისელები გლაზგოში თამაშობენ შოტლანდიელთა წინააღმდეგ, 22 მაისს „უემბლიზე" შეხვდებიან არგენტინელებს, შემდეგ კი ტურნეს იწყებენ: 29 მაისს — ლაიპციგში გდრ-ის გუნდთან, 1 ივნისს — სოფიაში ბულგარელებთან, 5 ივნისს — ბელგრადში იუგოსლავიის ნაკრებთან.

ჩვენი ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება—93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია— 93-97-58, გამომშვები—93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04548